თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1811099

ნომერი: AR1297027

თარიღი : 26.03.2015

გაცემის თარიღი : 02.04.2015

გაცნობის თარიღი : 02.04.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თაბუკაშვილი (ყოფ.ძნელაძე), N 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაალ იაკობიძე პ/ნ 01024010547
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 76

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, თაბუკაშვილის (ყოფ. მნელაძის) ქ. N33–ში სამშენებლო ღობის მოწყობაზე, როგორც I კლასის სამუშაოებზე, წერილობითი თანხმობის გაცემას.

გაცნობებთ, რომ სამუშაოები, რომლის განხორციელებაზეც ითხოვთ I კლასის წერილობითი თანხმობის გაცემას, გათვალისწინებული უნდა იყოს 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად შედგენილ მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში და არ შეესაბამება I კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს, შესაბამისად სამსახური თქვენს მოთხოვნას I კლასის სამუშაოებზე წერილობითი თანხმობის გაცემის შესახებ ვერ დააკმაყოფილებს.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ დამკვეთი ვალდებულია იქონიოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე და მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოების შემთხვევაში მოპოვებული უნდა იქნეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი თანხმობა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.